საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი

ვაუჩერის განაწილების პროცედურა

- განაწილების ორგანიზატორია **სსიპ საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი** (შემდგომში „ცენტრი“);
- ცენტრი პასუხისმგებელია განაწილების ჩატარებაზე, სტუდენტების გამოვლენაზე და ვაუჩერის გადაცემაზე;
- განაწილების მიზანია **სტუდენტებისთვის სოციალურ კვლევაში მონაწილეობის მოტივაცია**;
- განაწილებაში მონაწილეობა შეუძლიათ ყველა სტუდენტს, ვინც:
  - კვლევის პროცესში დატოვა მონაცემები;
  - მიიღო მონაწილეობა კვლევაში;
  - 2025 წლის 8 დეკემბრამდე დაეთანხმება ამ წესებს ელ. ფოსტით გადაგზავნილი ლინკის საშუალებით და მიუთითებს სახელს, გვარს, პირად ნომერს, იმეილს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.
- განაწილება ჩატარდება 2025 წლის 15 დეკემბერს 14:00;
- გამარჯვებული შეირჩევა **შემთხვევითობის პრინციპით, შემდეგი პროცედურის დაცვით:**

  - განაწილება ჩატარდება შემდეგ კომპიუტერზე (Device ID: 75D34C0F-4747-4223-B946-79AF2355C0BE);
  - განაწილების პროცესი ჩაიწერება ,,screen recorder” საშუალებით;
  - დროის ვერიფიკაცია მოხდება GOOGLE TIME შედარებით; აღნიშნული დრო მთელი პროცესის განმავლობაში გამოჩნდება ეკრანზე;
  - კომპიუტერზე გაიხსნება ახალი ,,Microsoft Excel Worksheet”, სადაც მონაცემები დალაგდება ანბანის შესაბამისად და მიენიჭება შესაბამისი უნიკალური ოთხნიშნა კოდი;
  - უნიკალური ოთხნიშნა კოდი გადაიტანება ახალ ,,Microsoft Excel Worksheet”, სადაც მიეცემა ბრძანება (=RANDARRAY(15;1;1;X;TRUE).
    - =RANDARRAY - შემთხვევითი;
    - 15 - შესარჩევი რაოდენობა;
    - 1 - სვეტის რაოდენობა;
    - 1 – მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა;
    - X - მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა.
  - უნიკალური ოთხნიშნა კოდის გადმოტანის შემდეგ ,,ENTER” ღილაკზე თითის დაჭერით გამოვლინდება გამარჯვებული 15 რიცხვი;
  - 15 რიცხვის გამოვლენის შემდეგ მოხდება რიცხვის დაკავშირება მონაცემებთან.
  - სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი დაუკავშირდება გამოვლენილ სტუდენტებს და გადასცემს 500 ლარიან ვაუჩერს, რომელსაც ისინი გამოიყენებენ „ზუმერის“ ტექნიკის მაღაზიების ქსელში.
- ცენტრი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და შედეგების საჯარო გამოქვეყნებას. შედეგები გამოქვეყნდება **ცენტრის ვებ გვერდზე** **www.ncer.gov.ge;**
- განაწილებისას გამოვლინდება 15 სტუდენტი და თითოეული მიიღებს 500 ლარიან ვაუჩერს (სულ ფონდი შეადგენს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარს), რომელსაც გამოიყენებს „ზუმერის“ ტექნიკის მაღაზიების ქსელში.
- გამოვლენილ სტუდენტებს შეუძლიათ მათი შეხედულების მიხედვით შეარჩიონ სასურველი ტექნიკა და მისი ღირებულება (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაფარონ ვაუჩერით.
- ვაუჩერი გადაეცემა გამოვლენილ სტუდენტებს ცენტრის შენობაში არაუგვიანეს 2025 წლის 26 დეკემბრისა.
- ცენტრის მისამართია: ა. პოლიტკოვსკაიას 31ა, მესამე სართული.
- გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (მაგ.: პასპორტი, მართვის მოწმობა), აგრეთვე ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომ 2025 გაზაფხულის სემესტრში იყო ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი;
- თუ გამოვლენილი სტუდენტი არ გამოცხადდება მითითებულ ვადამდე ვაუჩერის მისაღებად ან ვერ დააკმაყოფილებს რომელიმე მოთხოვნას, ვაუჩერი განაწილდება ხელმეორედ;
- თუ მონაწილემ წარმოადგინა არასწორი/არასრული ინფორმაცია, ის გამოეთიშება განაწილების პროცესს;
- ვაუჩერი **არ ექვემდებარება ფულად კომპენსაციას**;
- ცენტრი არ აგებს პასუხს ტექნიკური პრობლემების გამო (მაგ. ინტერნეტის შეფერხება, პლატფორმის შეცდომები, არასრული/არასწორი მონაცემებზე);
- განაწილების წესები და პირობები ხელმისაწვდომია საჯაროდ **ცენტრის ვებ გვერდზე.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

მონაწილე თანხმდება, რომ განაწილებაში მონაწილეობის მიზნით მისი პერსონალური მონაცემები — კერძოდ, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი — დამუშავდება სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) მიერ ,,ევროსტუდენტი 9“ კვლევითი პროექტის ფარგლებში ვაუჩერის განაწილების მიზნებისთვის. აღნიშნული მონაცემები არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას, უსაფრთხოებასა და დამუშავებას **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის** მოთხოვნათა შესაბამისად. მონაცემები შეინახება მხოლოდ მიზნის მიღწევამდე საჭირო ვადით, რის შემდეგაც ისინი წაიშლება.

მონაწილეს აქვს უფლება:

- მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
- მოითხოვოს მონაცემებზე წვდომა, მათი გასწორება, წაშლა ან დამუშავების შეზღუდვა;
- მოითხოვოს თანხმობის გაუქმება ნებისმიერ დროს;
- მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს თავისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მონაწილე შეიძლება დაუკავშირდეს ცენტრის მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგ საკონტაქტო ელფოსტაზე: nino.tetradze@ncer.gov.ge.